საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

№3- 289 02.11.2018

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

გთხოვთ მოგვაწოდოთ სააგენტოს მიერ 2018 წლის ივლის-სექტემბრის პერიოდში განხორციელებული ბიზნესოპერატორების, სურსათის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის შედეგები, რომლებიც მიღებულია კონტროლის ყველა მექანიზმის გამოყენებით:

ა) ინსპექტირება;
ბ) მონიტორინგი;
გ) ზედამხედველობა;
დ) დოკუმენტური შემოწმება;
ე) ნიმუშის აღება.

კერძოდ, გთხოვთ მიუთითოთ შემდეგი მონაცემები:

- განხორციელებული კონტროლის მექანიზმი;
- შემოწმებული ბიზნესოპერატორის სახელწოდება და მისამართი;
- შემოწმებული სურსათის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელწოდება, მწარმოებლის სახელწოდება და მისამართი, პარტიის ნომერი, ან გამოშვების თარიღი, ან ვარგისიანობის ვადა; შემოწმების პარამეტრი;
- კონტროლისა და, შესაბამის შემთხვევაში, ლაბორატორიული დასკვნის თარიღი;
- კონტროლის შედეგი (გამოვლინდა თუ არა დარღვევა; თუ გამოვლინდა, კერძოდ რა დარღვევა);
- დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ გატარებული ზომები (ჯარიმა, საქმიანობის შეჩერება, პროდუქტის ბაზრიდან და მომხმარებლისაგან გამოთხოვა, მოსახლეობის ინფორმირება, არაგეგმური ინსპექტირება, პროდუქტის დაბინძურების წყაროების გამოვლენა, სამართალდამცავი ორგანოს ინფორმირება).

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ Microsoft Excel-ის ფორმატში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,

ვ. [signature]

ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი

მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge

თბილისი 0177, საქართველო, დელისის I შესახვევი 5ა | Tbilisi 0177, Georgia 5a Delisi 1st lane
T/F: (+995 32) 2 399 019 | 2 399 018 | E: office@csrdg.ge | www.csrdg.ge